საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/33 " 2 " მარტი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2023 წლის 9 თებერვლის №06-1110 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს შენობის ტექნიკური მდგომარეობა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის №007456922 დასკვნის შესაბამისად, არადამაკმაყოფილებელია, შენობაზე გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარება არარენტაბელურია და რეკომენდებულია მისი დემონტაჟი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოძიებულ იქნა შესაბამისი ფართი სამსართულიანი შენობის მეორე სართულზე (მის.: ქ. ლაგოდეხი, ზაქათალას ქ. №29, ს/კ №54.01.54.547). საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას მითითებული ქონების დეპარტამენტის სარგებლობაში გადმოსაცემად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონების სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში გადმოცემისთვის.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი